მოწყობილობის დანიშნულება

თერმოპოტი განკუთვნილია წყლის გასაცხელებლად და წყლის საჭირო ტემპერატურის შესანარჩუნებლად საყოფაცხოვრებო პირობებში.

უსაფრთხოების ზომები

- თერმოპოტის არასწორმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილობის გაუმართაობა და ზიანი მიაყენოს მომხმარებელს.
- მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის; იგი არ არის განკუთვნილი კომერციული გამოყენებისთვის.
- გამოიყენეთ თერმოპოტი მხოლოდ ისე, როგორც ეს აღწერილია ექსპლუატაციის მოცემულ სახელმძღვანელოში. სწორი ექსპლუატაციისა და წესების დაცვის შემთხვევაში, მისი მუშაობის ვადამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გადააჭარბოს მწარმოებლის მიერ მითითებულ ვადას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ. დაიცავით იგი სიცხის, მზის პირდაპირი სხივებისა და ტენიანობისგან.
- პირველ ჩართვამდე დარწმუნდით, რომ თერმოპოტის ელექტრული პარამეტრები შეესაბამება თქვენი კვების ქსელის პარამეტრებს. შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ ისეთ ქსელში, რომელსაც აქვს დამიწების წრედი.
- განათავსეთ თერმოპოტი კარგად განიავებად ადგილას.
- არ დააფაროთ მოწყობილობას არაფერი.
- არ დაუშვათ წყლის ან სხვა სითხის მოხვედრა მოწყობილობის კორპუსსა თუ კვების კაბელზე. თუ ეს მაინც მოხდა, დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა კვების ქსელიდან.
- გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე მისი გაწმენდისას ან გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში.
- დაბალი ტემპერატურის პირობებში თერმოპოტის ტრანსპორტირების შემდეგ, მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ თბილ შენობაში მისი ყოფნიდან სამი საათის გასვლის შემდეგ.
- წყლით შევსების ან გაწმენდის დროს არ მოათავსოთ თერმოპოტი უშუალოდ ონკანის ქვეშ. არ ჩადოთ მოწყობილობა წყალში.
- ნუ აავსებთ მოწყობილობას წყლით ზედმეტად. თვალი ადევნეთ წყლის დონის შკალას.
- თერმოპოტი განკუთვნილია მხოლოდ წყლის გასაცხელებლად. მოწყობილობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ნუ გააცხელებთ მასში სხვა სითხეებს. არ ჩაყაროთ შიგნით ჩაის ფოთლები.
- ადუღებამდე მჭიდროდ დახურეთ თავსახური. არაფრით არ დახშოთ ორთქლის გამოსასვლელი ხვრელი.
- დამწვრობისა და ტრავმების თავიდან ასაცილებლად, არ გადააადგილოთ თერმოპოტი მუშაობის პროცესში.
- თერმოპოტის ჩართვამდე დარწმუნდით, რომ თავსახური მჭიდროდ არის დახურული, რათა თავიდან აიცილოთ წყლის გადმოშხეფება.
- მოწყობილობის ზოგიერთი ნაწილი მუშაობის პროცესში ძლიერად ცხელდება. არ შეეხოთ ხელით ცხელ ზედაპირებს.
- თერმოპოტის ქსელიდან გამორთვისას ხელი მოჰკიდეთ ელ. ჩანგალს, არ დაქაჩოთ ელექტროკაბელი.
- არასოდეს დატოვოთ ჩართული თერმოპოტი უმეთვალყურეოდ.

- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გამოიყენოთ თერმოპოტი დაზიანებული კვების კაბელით ან ჩანგლით. კვების კაბელის შეცვლის მიზნით მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ სცადოთ მოწყობილობის დამოუკიდებლად დაშლა და შეკეთება. არაკვალიფიციურმა რემონტმა შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა და ზიანი მიაყენოს მომხმარებელს. რემონტისთვის მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- კვების ქსელის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, არ გამოიყენოთ თერმოპოტი სხვა ენერგოტევად მოწყობილობებთან ერთად ერთდროულად.